სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/209

ქ. თბილისი

30 დეკემბერი 2021წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტზე აუდიტორიებისთვის სახელების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, მე-8 მუხლის, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 30 დეკემბრის №01-05-02/40 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის № 695 აუდიტორიას(მე-6 სართული) მიენიჭოს აკადემიკოს თეიმურაზ ლოლაძის სახელი;
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის № 557 აუდიტორიას(მე-5 სართული) მიენიჭოს პროფესორ შუქრი საბიაშვილის სახელი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**